



ნდობა და უსაფრთხოება

პროგრამა EU4Digital ხელს უწყობს **ციფრული ნდობის და იდენტიფიკაციის სერვისების, სახელმწიფოთაშორისი ე-სერვისების ოპერაციული თავსებადობის, ე-მართველობის** და კიბერუსაფრთხოების განვითარებას კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურის **სტაბილურობის გასაუმჯობესებლად** აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში.

ციფრული ნდობის და კიბერუსაფრთხოების საშუალებით შესაძლებელია ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების ყველა ასპექტის ეფექტიანობის გაუმჯობესება უსაფრთხო გზით.

პროგრამის **EU4Digital ნდობის და უსაფრთხოების გუნდის** ძირითადი ამოცანებია პოტენციური ხარვეზების განსაზღვრა ციფრული ნდობის ეკოსისტემაში, და ქვეყნების მხარდაჭერა მიაღწიონ შემდეგ საფეხურს ან მზადყოფნას სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი აღიარების მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე.



ე-პირადობის მონმობა და ე-ხელმოწერა

ტექნიკურად გამართული სახელმწიფოთაშორისი ე-ხელმოწერების საპილოტე პროექტების დაგეგმვა და განხორციელება უკრაინას, მოლდოვას და ესტონეთს შორის, ზოგადი პრინციპების და ფორმატების საფუძველზე.

არსებული **სარეგულაციო და ტექნიკური ხარვეზების და ბარიერების** განსაზღვრა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება საპილოტე ქვეყნებისთვის.

მიღებული გამოცდილების გამოყენება რეგიონის **ზოგადი სახელმძღვანელო რეკომენდაციების განსაზღვრისთვის**, რომლებიც შეტანილი იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში.

ტექნიკურად გამართულმა სახელმწიფოთაშორისი ე-ხელმოწერების საპილოტე პროექტებმა უკრაინას, მოლდოვას და ესტონეთს შორის, საფუძველი ჩაუყარა ქვეყნებში ელექტრონული იდენტიფიკაციის და ნდობის სერვისების გარემოს შემდგომ პარმონიზაციას.



სახელმწიფოთაშორისი ე-სერვისების ოპერაციული თავსებადობის ჩარჩო

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების **სახელმწიფოთაშორისი ე-სერვისებისთვის მზადყოფნის** შეფასება: საორგანიზაციო და ტექნიკური ბარიერების განსაზღვრა და დაძლევა, ოპერაციული თავსებადობის ფუნდამენტური პრინციპები, ე-სერვისებზე უცხოელების წვდომა და ციფრული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების ხელმისაწვდომობა.

კონკრეტული რეკომენდაციები ქვეყნებისთვის ე-სერვისების სახელმწიფოთაშორისი გამოყენების პოტენციალის შესაქმნელად.

რეგიონული ჩარჩო, როგორც **პარმონიზებული მიდგომა** სახელმწიფოთაშორისი ოპერაციულად თავსებადი ე-სერვისების განვითარებისადმი, რასაც აჩქარებს ციფრული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების გამოყენება.



კიბერუსაფრთხოება

კიბერუსაფრთხოების ღონისძიებების **ანალიზმა** პარტნიორ ქვეყნებში გამოავლინა **პრობლემები**, რომელთა შორის არის რესურსების და ფინანსების დეფიციტი, მოძველებული კანონმდებლობა, რისკის არასათანადო შეფასება და საგანგებო სიტუაციების გეგმები.

სახელმძღვანელო რეკომენდაციები - ეს არის **რეკომენდაციები** კიბერუსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

ხელს უწყობს **კიბერსივრცის სიძლიერის და სტაბილურობის გაუმჯობესებას** პარტნიორობის ქვეყნებს შორის და ამცირებს ქსელის საინფორმაციო სისტემების მოშლის ან გაუმართაობის რისკს.

პროგრამა **EU4Digital Cyber** ხელს უწყობს კიბერუსაფრთხოების მექანიზმების მდგრადობის და სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების გაუმჯობესებას პარტნიორ ქვეყნებში.



ე-მმართველობა

შემუშავებულია **ე-მმართველობის ჩარჩო** საჯარო ადმინისტრაციის განვითარების მხარდასაჭერად.

ე-მმართველობის ჩარჩოს საფუძველები წარმოდგენს **ე-მმართველობის განმსაზღვრელ ფაქტორებს** და ისინი ფოკუსირებულია **მიზნულ-შედეგობრივ თანამიმდევრობაზე** - ე. ი., რა საფუძველები უნდა ჩამოყალიბდეს პირველ რიგში ე-მმართველობის სხვა სფეროების განვითარების მიზნით.

ე-მმართველობის ჩარჩო შექმნის საფუძველს **მთავრობის ციფრული ტექნოლოგიური მზადყოფნის მიმდინარე მდგომარეობის** შესაფასებლად და იმ **პრობლემური სფეროების განსაზღვრისთვის**, რომლებიც არ არის განვითარებული, ან გაუმჯობესებას მოითხოვს. გარდა ამისა, ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებაზე უშუალო გავლენის მქონე შედეგების მიღებას, როგორცაა **ეფექტიანობა საჯარო სექტორში, ციფრულ სერვისებში, მონაცემებზე დამყარებული გადანაცვლებები და ჩართულობა ე-საზოგადოებაში.**

ციფრულ ეკონომიკაში ნდობის და უსაფრთხოების განვითარებით, ევროკავშირი უმარტივებს ელექტრონულ ტრანზაქციებს ბიზნესს და მოქალაქეებს მათი უსაფრთხოების გაუმჯობესებით, დაჩქარებით და გაიაფებით, და ხელს უწყობს კრიტიკული ციფრული ინფრასტრუქტურის სტაბილურობას მაგ. ტელეკომუნიკაციის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის და საბანკო სექტორებში. აღნიშნულის შედეგად ეკონომიკა ძლიერდება და ხდება უფრო დინამიური, და იზრდება ნდობა მომხმარებელთა მხრიდან.



ციფრული ნდობის და კიბერუსაფრთხოების ღონისძიებების მიზანია იმის დამტკიცება, რომ თანამედროვე, 21-ე საუკუნის საზოგადოებაში არსებობს პროცესები, საშუალებები და ტექნოლოგიები, როლებიც საშუალებას აძლევს **ორ ქვეყანას აღიარონ ერთმანეთს შორის ციფრული ნდობის სერვისები**, და ამით ხელი შეუწყონ ციფრული ეკონომიკის განვითარებას.



ე-მმართველობის ღონისძიებების მიზანია **მთავრობის ციფრული ტექნოლოგიური მზადყოფნის** მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და იმ **ფუნდამენტური სფეროების** განსაზღვრა, რომლებიც არ არის განვითარებული, ან გაუმჯობესებას მოითხოვს.



ციფრული ნდობის სერვისები და ციფრული იდენტიფიკაციის სერვისები უზრუნველყოფს თანამედროვე საზოგადოებას **სოციალური ურთიერთქმედებების დაჩქარებასა და ნდობის ჩამოყალიბებაში გეოგრაფიულ რეგიონებს შორის**, და იმავდროულად უზრუნველყოფს ადამიანებს და კომპანიებს **გაზარდონ ეფექტიანობა უფრო დაბალი საოპერაციო ხარჯებით**.



სახელმწიფოთაშორის ე-სერვისების ოპერაციული თავსებადობის ჩარჩო უზრუნველყოფს ჰარმონიზებული მიდგომის სახელმძღვანელო პრინციპებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებს **ოპერაციულად თავსებადი სახელმწიფოთაშორის ე-სერვისების** განვითარების მიზნით ეროვნულ დონეზე, რომელთა **დაჩქარება ხდება ციფრული განვითარების ხელშეწყობი ფაქტორების გამოყენებით**.

EU4Digital ნდობა და უსაფრთხოება: ძირითადი ფაქტები



პროგრამამ EU4Digital განახორციელა ტექნიკურად გამართული სახელმწიფოთაშორისი **ე-ხელმოწერის საპილოტე პროექტები** უკრაინას, მოლდოვას და ესტონეთს შორის. ე-ხელმოწერის საპილოტე პროექტებმა საფუძველი ჩაუყარა ელექტრონული იდენტიფიკაციის და ნდობის სერვისების გარემოს შემდგომ ჰარმონიზაციას აღმოსავლეთ პარტნიორობის და ევროკავშირის ქვეყნებში.



აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უმრავლესობამ დაამტკიცა ნდობის და ე-იდენტიფიკაციის სერვისებთან დაკავშირებული **იურიდიული და სარეგულაციო ჩარჩოები** ეროვნული საჭიროებების და მოთხოვნების საფუძველზე.



აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ბევრი საჯარო სერვისი **უფრო ხელმისაწვდომი ხდება ონლაინ**, თუმცა საჭიროა ჰარმონიზებული რეგიონული მიდგომა იმისათვის, რომ ამოქმედდეს **ოპერაციულად თავსებადი და სახელმწიფოთაშორისი ე-სერვისები**, რომელთა დაჩქარება ხდება **ციფრული განვითარების ხელშეწყობი ფაქტორების** გამოყენებით.



აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების **კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიური მზადყოფნის დონეები განსხვავებულია** - ზოგიერთი მათგანი ამჟამად ქმნის კიბერუსაფრთხოების პირველ ეროვნულ სტრატეგიას, ზოგიერთები ამ სტრატეგიის მეორედ გადახედვას და განახლებას ანარმობენ, ზოგიერთებს არ ჰყავთ კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე გადაუდებელი რეაგირების ეროვნული და სექტორული გუნდები (CERT), ზოგიერთები კი ამ გუნდების ჩამოყალიბების პროცესში არიან.

ტრადიციულად, ციფრული პრიორიტეტები და ინვესტიციები ციფრულ სფეროში მიმართული იყო უფრო ხილულ და მარტივად განსახორციელებელ „ფასადურ“ გადამწყვეტებზე, როგორცაა ინტერნეტზე, სერვისებზე და პორტალებზე წვდომა, რომელთა შედეგის დანახვა უფრო ადვილია. იმავდროულად, ხშირად ნაკლები ყურადღება ექცევა მომხმარებლისთვის ნაკლებად ხილულ ზოგიერთ ფუნდამენტურ სფეროს, როგორცაა მონაცემთა ციფრული ტრანსფორმაცია, ოპერაციული თავსებადობა, ელექტრონული იდენტიფიკაცია, ხელმისაწვდომობა. ეს კი ქმნის „სიკვდილის ველს“ სტრატეგიულ პრიორიტეტებს და მათ რეალურ განხორციელებას შორის. სტრატეგიული, გრძელვადიანი და სისტემატური ინიციატივების მხარდასაჭერად, საჭიროა ე-მმართველობის ძირითადი საფუძვლების განსაზღვრა და მათი დანერგვა; ეს შექმნის საძირკველს ეფექტიანი ციფრული ტრანსფორმაციისა და საჯარო სექტორის რეფორმებისთვის - როგორც ეს გააკეთეს ბალტიისპირეთის და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებმა. პროგრამამ EU4Digital შეიმუშავა **ე-მმართველობის ჩარჩო** ე-მმართველობის განვითარებისთვის, რომელიც საჯარო ადმინისტრაციის რეფორმების მამოძრავებელი ძალაა.

